,მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №9

ქ.თბილისი 15/02/ 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N4 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საკუთარი სახრებით **საკანცელარიო საქონლის** შესყიდვა (CPV: 22800000-64ლ, 24900000-2,30ლ, 30100000-44,98ლ, 31600000-10ლ, 37800000-75,60ლ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ .

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება **შეადგენს 196,88 ლარი (ასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 88 თეთრი) და** მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილიაშემსყიდველის ადგილსამყოფელი ქ. თბილისი,ც. დადიანის 19

ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №4 საჯარო სკოლის **მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.**

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ თბილისის N4 საჯარო სკოლა მისამართი: ქ. თბილისი. ც. დადიანის N19 ტელეფონი: 2951023 საიდენტიფიკაციო კოდი: №202887607 საბანკო რეკვიზიტები:“ლიბერთი ბანკი“ საბანკო კოდი: LBRTGE22 ა/ა: №GE78LB0121114547001000 **დირექტორი:** _____ /ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი/ ბ.ა	**მიმწოდებელი:** ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა ს /კ : 01009005243 მ ი ს ა მ ა რ თ ი :აღმაშენებლის გამზირი55/1 ტ ე ლ ფ ო ნ ი : 2 96-19-31 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,, საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE75BG0000000888000801 **მიმწოდებელი:** _____ (ხელმოწერა)

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2019 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №4 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტრის ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის (შემდგომში შემსყიდველი) სახით და მეორე მხრივ, ი/მ გიორგი კანდელაკი ვესტას (შემდგომში მიმწოდებელი) სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლება მოსილების ფარგლებში, ვადგენთ აქტს მასზედ, რომ 2019 14 თებერვალს მიმწოდებელმა გადასცა და შემსყიდველმა ჩაიბარა 14,02,2019წ დადებული N9 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 196 ლარის და 88 თეთრი ღირებულების საკანცელარიო საქონელი.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არცერთ მხარეს პრეტენზია არ გააჩნია, რასაც ადასტურებენ ხელისმოწერით.

მიღება–ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

მიმწოდებელი:

ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა
ს /კ : 01009005243
მ ი ს ა მ ა რთი :აღმაშენებლისგამზირი55/1
ტე ლ ფონ ი : 2 96-19-31
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „ საქართველოს ბანკი“
ბანკისკოდი BAGAGE22
ა/ა GE75BG0000000888000801

_____

(ხელმოწერა)

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის №4 საჯარო სკოლა
მისამართი: ც. დადიანის ქ. №19
სკოლის ს/კ 202887607
მომსახურე ბანკი: „ლიბერთი ბანკი“
ბ/ კ LBRTGE22
ა/ნ №GE78LB0121114547001000
დირექტორი:

_____

(ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი) (ხელმოწერა)

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. თბილისი 15თებერვალის 2019 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N4 საჯარო სკოლასა და ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქ. თბილისის #4 საჯარო სკოლა
დირექტორი ე.ლოლაშვილი-მერებაშვილი

ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა